ხელშეკრულება N 143
საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

ქალაქი ფოთი **02 სექტემბერი 2019 წ.**

ერთი მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი ფოთის ადგილობრივი არქივის დირექტორის, ქეთევან ეფრემიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსყიდველის 2011-2013 წლების საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება (CPV 92512000), რომელიც საჭიროების გათვალისწინებით, მოიცავს:

ა) დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგებას შედგენილი გეგმის მიხედვით, საქმეების სისტემატიზაციას წლების და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით;

ბ) დოკუმენტების სამეცნიერო და პრაქტიკულ ექსპერტიზას;

გ) საქმის ფორმირებას, საქმეში ფურცლების სისტემატიზაციას, საბუთების შედგენას, საქმეების შეკერვას და ფურცლების ნუმერაციას;

დ) ყდების გაფორმებას, დამოწმებული ფურცლების ჩაწებებას, შესანახ საქმეთა სისტემატიზაციას, საქმეებისა და დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფას და შესაბამისი აქტის შედგენას;

ე) მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ანაწერების შეჯერებას, შენაკრავების განლაგებას სათანადო წესის მიხედვით და სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გაწევას.

2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება **1211,43 (ერთიათასორასთერთმეტი ლარი და ორმოცდასამი თეთრი)** ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებს გათვალისწინებით (დანართი N1 - წინასწარი ხარჯთაღრიცხვა).

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების „2.1“ პუნქტში მითითებული ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გაწეული მომსახურებების მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თანხის გათვალისწინებით.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო საბოლოო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა.

2.4 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრული ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილება.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2 უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეროვნულ ვალუტაში.

3.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი და ქალაქ ფოთის საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, რომლებიც ხელს აწერენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. სამსახურის ხელმძღვანელის და განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს სამსახურის უფროსის და განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

3.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენს ქალაქ ფოთის ადგილობრივი არქივის დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და იმ მოცულობით, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

ბ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2019 წლის 02 სექტემბრიდან 2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით. მომსახურების გაწევის ადგილია: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოთხოვოს შემსყიდველს აანაზღაუროს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული დათქმის შესაბამისად;
ბ) მოთხოვოს შემსყიდველს შეუქმნას მომსახურების გაწევისთვის სათანადო პირობები.
4.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში დათქმული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს მიმწოდებელი აუცილებელი მასალით (საქმეთა ყდები, ქაღალდი, წებო, კანაფი, ძაფი და სხვა);
გ) უზრუნველყოს მიმწოდებელისათვის სამუშაო ოთახის გამოყოფა და შეუქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები.
4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
მოთხოვოს მიმწოდებელს განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის ადგილობრივი არქივის დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო შემსყიდველის მხრიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.
6.2 თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით.
6.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი შეთანხმების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი შეთანხმების სახით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდას;
ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისშემთხვევაში;
გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 სამუშაო დღით ადრე;
დ) წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ე) წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს: ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს–მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველის / მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში შემსყიდველი/მიმწოდებელი ყოველივა დაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს / შემსყიდველს უხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 %-ის ოდენობით.
9.2.საჯარიმო სანქციების გადახადა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

10. დავის გადაწყვეტა

10.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
10.2 ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ელექტრონულად ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1 (წინასწარი ხარჯთაღრიცხვა) წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
ს/კ 215138143,
ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12

,,მიმწოდებელი"

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
ს/კ 211358957
იურ. მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N1.
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22, ანგარიშის N 707447080

Gocha Kurdgelia
Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.09.02 16:06:35 +04'00'

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია

ფოთის ადგილობრივი არქივის დირექტორი
ქეთევან ეფრემიძე

დანართი N1

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის გაფორმებული 2011-2013 წლების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ხელშეკრულების დანართი წინასწარი ხარჯთაღრიცხვა

N	პოზიცია	მომსახურების სახეობა	საზომი ერთეული	საფასური ლარებში	შესასრულებული სამუშაოს მუოცულობა	შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
1	1.2	დოკუმენტების მოწესრიგების გეგმის შედგენა 1X17.70=17.70	1 გეგმა	17.70	1	17.70
2	1.4.1	საქმეთა სისტემატიზაცია ფონდების მიხედვით დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარებამდე 450X0.15/10=6.75	10 შესანახი ერთეული	0.15	450	6.75
3	1.4.2	საქმეთა სისტემატიზაცია ფონდების შიგნით წლების ან სტრუქტურული ნაწილების მიხედვით 450X0.50/10=22.50	10 შესანახი ერთეული	0.50	450	22.50
4	1.6.1.1	მმართველობითი დოკუმენტების ექსპერტიზა, ფურცლობრივი გადათვალიერებით 257X1.00=257.00	1 შესანახი ერთეული	1.00	257	257.00
5	1.6.1.2	მმართველობითი დოკუმენტების ექსპერტიზა, ფურცლობრივი გადათვალიერების გარეშე 179X1.65/10=29.53	10 შესანახი ერთეული	1.65	179	29.53
6	1.6.4.1	პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ექსპერტიზა ფურცლობრივი გადათვალიერებით 14X0.20=2.80	1 შესანახი ერთეული	0.20	14	2.80
7	1.8.1	საქმეში ფურცლების სისტემატიზაცია 3000X1.00/100=30.00	100 ფურცელი	1.00	3000	30.00
8	1.11	მმართველობითი და პირადი წარმოშობის საქმეების სათაურების შედგენა 300X1.10=330.00	1 სათაური	1.10	300	330.00
9	1.15	არასწორად ფორმირებული საქმეების დაშლა, სამაგრების ამოღება 150X0.15=22.50	1 საქმე	0.15	150	22.50
10	1.16.1	მმართველობითი საქმეების შეკერვა 100X0.35=35.00	1 შესანახი ერთეული	0.35	100	35.00
11	1.16.2	პირადი შემადგენლობის საქმეების შეკერვა 2X0.15=0.30	1 შესანახი ერთეული	0.15	2	0.30

12	1.17	საქმეში ფურცლების ნუმერაცია, ხელახალი გადანომრვა 25000X0.85/100=212.50	100 ფურცელი	0.85	25000	212.50
13	1.18	საქმის ყდის, ან სატიტულო ფურცლის გაფორმება 300X0.20=60.00	1 ყდა	0.20	300	60.00
14	1.19	სატიტულო და დამამოწმებელი ფურცლების ჩაწებება 250X0.20/10=5.00	10 ფურცელი	0.20	250	5.00
15	1.21	საქმის ყდაზე საარქივო შიფრის და შტამპის დასმა 300X0.30/10=9.00	10 შესანახი ერთეული	0.30	300	9.00
16	1.22	საქმეთა მოთავსება ყუთებში ან შენაკრავების ფორმირება 300X0.35/10=10.50	10 შესანახი ერთეული	0.35	300	10.50
17	1.23	იარლიყების შედგენა, კოლოფზე დაწებება 50X0.20=10.00	1 იარლიყი	0.20	50	10.00
18	1.24	კოლოფების ან შენაკრავების განლაგება 50X0.60/10=3.00	10 შენაკრავი	0.60	50	3.00
19	1.25	მოწესრიგების პროცესში საქმეთა გადაადგილება დაწესებულების საცავიდან სამუშაო ოთახში 450X0.20/10=9.00	10 შესანახი ერთეული	0.20	450	9.00
20	1.26.1	საქმის ანაწერის დაბეჭდვა 300X0.15=45.00	1 სათაური	0.15	300	45.00
21	1.27.2	ანაწერის წინასიტყვაობის შედგენა 1X28.00=28.00	1 წინასიტყვაობა	28.00	1	28.00
22	1.29	ანაწერის გაფორმება 5X10.00=50.00	1 ანაწერი	10.00	5	50.00
23	1.31	აქტის შედგენა იმ საქმეების და დოკუმენტების განადგურების შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარება შენახვას 7X0.30=2.10	აქტის 1 პოზიცია	0.30	7	2.10
24	1.32	იმ საქმეების შენაკრავების ფორმირება, რომლებიც არ ექვემდებარებიან შენახვას 150X0.15/10=2.25	10 შესანახი ერთეული	0.15	150	2.25
25	1.34	დოკუმენტების მოწესრიგების დამთავრების შესახებ აქტების შედგენა 1X11.00=11.00	1 აქტი	11.00	1	11.00

სულ: 1211.43 (ერთიათაორასთერთმეტი ლარი და ორმოცდასამი თეთრი) ლარი.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი **„02"** სექტემბერი 2019 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი **გოჩა კურდღელია**

Gocha Kurdgelia

Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.09.02 16:07:28 +04'00'